

ხედავს პიქია

უნივერსები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობილობის საკითხზე ვმუშაობდით¹, ჩვენ ძოგვიხდა გავცნობოდით გზადაგზა აგრეთვე „სიმინდ-სემიდალ“ სიტყვათა შესახებ სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ მონაცემებს ქართულში. ამ მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი კორექტივის შეტანა „სიმინდ-სემიდალ“ სიტყვათა წარმოშობილობის შესახებ არსებულ შეხედულებაში.

ვიდრე საკითხზე უშუალოდ გადავიდოდეთ, უნდა მოვიგონოთ, რომ მეცნიერებაში დღეს უკვე ექვმიუტანლად დადგენილია ფაქტი სიმინდის კულტურის ამერიკული წარმომავლობის შესახებ. ამდენად, ცხადია, ძველ ქვეყანაში სიმინდი, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ამერიკის აღმოჩენამდე არ არსებობდა². პირველად სიმინდი ევროპაში, უფრო ზედმიწევნით ესპანეთსა და იტალიაში შეტანილია XVI საუკ. დამდეგს³. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით „სიმინდის კულტურა სამეგრელოში XVII საუკ. დამდეგში უნდა იყოს შემოსული“⁴, ლ. დეკაპრელევიჩს ეს მოსაზრება საექვოდ მიაჩნია⁵, ხოლო პ. გუგუშვილი ფიქრობს, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურა XVII საუკ. შუა ხანებიდან გაჩნდა⁶. ამავე დროს ცნობილია, რომ XVI საუკუნეში ანატოლიაში სიმინდი უკვე იყო⁷ და თურქები ამ კულტურას „ლაზუტ“-ის, ე. ი., „ლაზური მცენარის“ სახელით იცნობდნენ, რაც, როგორც ეს

¹ ს. პიქია, „ლაზუტ“-სიტყვის წარმოშობისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 228—236.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I. თბილისი, 1930, გვ. 363; აგრეთვე П. М. Жуковский - ს წიგნში: Земледельческая Турция И. В. Кожухов - ის სტატია: „Литературные данные о культуре кукурузы в Анатолии“, М. Л., 1933, გვ. 321—322.

³ ივ. ჯავახიშვილი, იქვე; Жуковский - Кожухов, იქვე, გვ. 322.

⁴ იქვე, გვ. 363.

⁵ Л. Декапрелевич, Из истории появления и распространения кукурузы в Грузии (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 45—46.

⁶ პ. გუგუშვილი, „სიმინდის მეურნეობა ამიერ-კავკასიაში (1801—1920 წწ.)“: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, 1946, გვ. 225.

⁷ П. М. Жуковский - ს დასახელებულ ნაშრომში Кожухов - ის სტატია, გვ. 322.

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, იმის მაჩვენებელია, რომ ანატოლიის ~~თურქებს~~ სიმინდის კულტურა ქართველური ტომისაგან — ლაზებისგან აქვთ გადაღებული¹. რიგი მონაცემებისა არსებობს, რომ XVI საუკუნეში ლაზები ჯერ კიდევ ძალიან აქტიურები იყვნენ ანატოლიაში თავიანთი ძველი და, აგრეთვე, ახალი კულტურის გავრცელების საქმეში². კერძოდ, სიმინდი შავი ზღვის სანაპიროებში პირველად ლაზისტანში შესულად და ანატოლიის სხვა კუთხეებში აქედან გავრცელებულად ჩანს.

მართალია, XVI საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროები უკვე თურქეთის ხელში იყო, მაგრამ გენუასა და ვენეციას კავშირი ამ სანაპიროს ქვეყნებთან, კერძოდ ლაზისტანთან, თურქების დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა³. სიმინდი უშუალოდ ლაზისტანში უნდა იყოს შეტანილი და იქიდან ანატოლიასა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული. ის გარემოება, რომ სიმინდის წოყანა XVI საუკუნის ანატოლიაში უკვე „ფართოდ იყო გავრცელებული“⁴ და მას „ლაზური მცენარე“ (ლაზური) ერქვა — ისე უნდა გავიგოთ, რომ ამ კულტურის მიმღებნი, ამთვისებლები და გამავრცელებლები იყვნენ ლაზები და არა ანატოლიაში შემოსეული მომთაბარე ტომი, რომელსაც მოზინადრე ტომთათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოშენების სფეროში არაერთი ტრადიცია არ ჰქონდა და სოფლის მეურნეობის დარგში ქართველების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო⁵. XVI საუკუნეში, როდესაც ოსმალო-თურქებს ანატოლიაში უკვე მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული, ანატოლიიდან სიმინდი უკვე თურქების სახელით გადიოდა და ევროპის ზოგ ქვეყანაში ის granoturco-სა და türkischer Weizen-ის სახელითაც იყო ცნობილი, ისევე როგორც აღმოსავლეთშიც türk buğdayı, 'თურქული ხორბალი'ც ერქვა.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმინდის კულტურა საქართველოს პროვინციაში — ქანეთში (სულ ერთია ეს პროვინცია მაშინ თურქების ხელში იყო, თუ არა) XVI საუკუნის II ნახევრისათვის მაინც შემოტანილი უნდა ყოფილიყო. ლ. დეკაპრელევიჩის აზრი, რომ XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსული მოგზაურები სიმინდს არ ახსენებენ, ვერ უარყოფს ამ მოსაზრებას, რადგანაც 1) ახალშემოსული კულტურა ისე სწრაფად ვერ გავრცელდებოდა, რომ მოგზაურთა გასასვლელ, ან გასაჩერებელ ადგილას ყველგან ყოფილიყო და 2) ლ. დეკაპრელევიჩის მიერ ჩამოთვლილ მოგზაურების თხზულებებში ქანეთი ასახული არ არის⁶.

¹ ს. ჯიქია, «ლაზურ» სიტყვის წარმოშობისათვის: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944.

² იქვე, გვ. 231.

³ ამის შესახებ: А. Крымский, История Турции и ее литературы, т. I, Москва, 1916, გვ. 87—88.

⁴ П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია. I, გვ. 247—248. აგრეთვე ს. ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 393—394.

⁶ ეს წერილი სტამბაში გადასაცემად უკვე მზად იყო, როცა ლ. დეკაპრელევიჩის სტატია ავტორის მეოთხეთი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამიტომ დაწვრილებით ვერ განვიხილეთ.

სიტყვა „სიმინდი“ საქართველოში გაცილებით უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე სიმინდის კულტურა შემოვიდოდა. ოღონდ ადრინდელ საქართველოში ამ სიტყვას, როგორც ეს უკვე ცნობილია, ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა.

ჯერხნობით უძველესი ქართული წყარო, სადაც სიტყვა „სიმინდი“ „სიმინდად“-ს სახით ორჯერ გვხვდება, აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოცემული შემდეგი ძეგლია: „ცხოვრება და განგება ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა ეგვიპტელისა“¹. ძეგლში, რომელიც გამომცემელს X საუკუნის დასასრულით აქვს დათარიღებული, ნათქვამია: „მომეც მე სიმინდად მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედი ღვინო ზედაშედ“ და იქვე, ცოტა ქვემოთ: „მაშინ წარვედ მეწიწქულესა თანა და მოვართუ სიმინდად იგი და ეკლესიით ზედაშე“². რადგანაც ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო „სიმინდად“ სიტყვის არსებობის ფაქტი X საუკუნის ძეგლში, არამედ მისი იმდროინდელი მნიშვნელობაც, ჩვენ გავეცანით ამ ძეგლის რუსულ თარგმანსაც, რომელიც მის გამომცემელს პატივცემულ აკად. კ. კეკელიძეს შეუსრულებია და შესაფერისი გამოკვლევით დაუბეჭდავს კიდეც³. ჩვენთვის საინტერესო ადგილი „მომეც მე სიმინდად“ და „მოვართუ სიმინდად“ ასეა თარგმნილი: „так дай мне две меры кукурузной муки“, ხოლო მეორე ადგილას „სიმინდად“-ს შესატყვისი რუსული თარგმანი მოცემული არ არის და ნათქვამია „принес нужное“⁴. თარგმანი ზუსტია იმ ნაწილში, სადაც ის „ფქვილად“ არის გაგებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, X საუკუნის ძეგლში ეს არ შეიძლება იყოს ახლანდელი გაგების „სიმინდის“ (кукурузная мука) ფქვილი. რამდენად აქ ლაპარაკია სეფისკვერზე „ევლოგიად შენთანა“ და ღვინოზე „ზედაშედ“, იგულისხმება მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი, რომლისგანაც საერთოდ ცხვებოდა სეფისკვერი, ალბათ, ძველ საქართველოშიც იავევ, როგორც ჩვენს დროშიაც.

სიტყვა „სიმინდი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე ორჯერ „წიგნი სააქიმოა“-ში⁵. ეს ძეგლი XIII საუკუნით თარიღდება და არაბულიდან ნათარგმნად ივარაუდება. აქ ვკითხულობთ: „და საქამადსა ჰასოსა სიმინდისაგან შექმნილსა ჰამდეს ნუშის ზეთითა, და ჰასოა არაბულად მას ჰქვიან რომელ თხლად ფქვილი მოჰკიდოს წყალსა“⁶. ხორხის სიმსივნით დაავადებულს ავტორი ურჩევს მიიღოს „ჰასო“. თუმცა ძეგლის გამომცემელს „ჰასო“ განმარტებული აქვს როგორც „შეჰამანდი წვნიანი ქატოსაგან და შაქრისაგან შემდგარი“-ო, მაგრამ თვით „წიგნი სააქიმოა“-ს ავტორის განმარტება უფრო სწორი და ზუსტი

¹ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი. კიმენი. ტ. I. პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით. თბილისი, 1918, გვ. 202.

² იქვე. გვ. 357.

³ К. Кекелидзе, Этюд из начальной истории египетского монашества: Труды Киевской духовной академии, 1911 г., кн. 2 и 3. გვ. გვ. 177—195 და 335—364.

⁴ იქვე, წიგნი 3, გვ. 357.

⁵ ლ. კოტეტიშვილი. წიგნი სააქიმოა. მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე. თბილისი, 1936. ამ ძეგლზე ჩვენ პროფ. გ. წერეთელმა მიგვითითა.

⁶ იქვე, გვ. 151.

უნდა იყოს: „ჰასო არაბულად მას ჰქვიან რომელ თხლად ფქვილი მოჰყიდოს წყალსა“-ო. რამდენადაც ხორხის სიმსივნით დაავადებულზეა ლაპარაკი ტხადხად, რომ აქ იგულისხმება „სიმინდისაგან“, ე. ი., ხორბლის წვრილად გატრილი ფქვილისაგან. გაკეთებული ფაფა. „წიგნი სააქიმოჲ-ს ლექსიკონში კი „სიმინდი“ განმარტებულია Zea Mais L-დ¹, რაც დღევანდელი გაგების სიმინდის ლათინური სახელია და ამდენად XIII საუკ. ძეგლში ნახმარი სიტყვისათვის ასეთ მნიშვნელობის მინიჭება შეუწყნარებელია.

ამავე ძეგლში მეორეჯერ უკვე „სიმინდის ფქვილი“ იხსენიება ავადმყოფისათვის იმავე „საჭამადისა ჰასოჲსა“-ს გასაკეთებლად². „სიმინდის ფქვილი“ აქაც „უმალლესი ხარისხის ხორბლის ფქვილს“ უნდა ნიშნავდეს. სიტყვა „სიმინდის“ ხმარება მსაზღვრელის ფუნქციით იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ავტორს უნდა განსაკუთრებით გახაზოს უმალლესი ხარისხის, სწორედ „სიმინდი“ ფქვილი, სხვა უფრო დაბალი თვისების ხორბლის ფქვილისაგან განსასხვავებლად. გამოთქმა „სიმინდის ფქვილ“-ში „სიმინდი“ არავითარ შემთხვევაში ფქვილის მარცვლეულ მასალას არ აღნიშნავს და ამდენად ლექსიკონში მისი Farina Mais-ად³, ე. ი. დღევანდელი გაგებით „სიმინდის ფქვილად“ თარგმნა აგრეთვე მიუღებელია.

XVII საუკუნის ქართველ მოღვაწეს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის „ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში მოეპოვება სიტყვა „სიმინდრი“⁴. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა ფ. გორგიჯანიძეს „სიმინდის რაობა ჯერ კიდევ გარკვევით არ სცოდნია“⁵, რადგანაც მას „სიმინდის“ არაბულ შესატყვისად زرد („ზორათ“), ხოლო სპარსულად ارز („არზან“) მოჰყავს. ივ. ჯავახიშვილმა და უფრო დაზუსტებულად ვლ. ფუთურიძემ აღნიშნეს, რომ სპარსულად „არზან“ ფეტვს ნიშნავს და არა სიმინდს, ხოლო არაბული „ზორათ“-იც ფეტვია, თუმცა „სიმინდის“ მნიშვნელობაც აქვსო⁶.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონში „სიმინდი“ სიტყვის ერთი საგულისხმო ფონეტიკური თავისებურება. ფარსადანს ხელნაწერში „სიმინდრი“ აქვს. ლექსიკონის გამომცემელი ვლ. ფუთურიძე ამ ფორმას ასწორებს და „სიმინდ“-ს წერს, ხოლო შენიშვნაში ამბობს, რომ „ზედმეტი რ აქ lapsus calami უნდა იყოს, რაც ასე ხშირად მოსდის ჩვენს ავტორს“-ო⁷. ეს შესწორება არ არის მართებული, რადგანაც ფარსადანის მიერ „სიმინდრი“ ფორმის ხმარება შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ სომხურისთვის, როგორც აკად. ი. ორბელი აღნიშნავს, მხითარისტებს სწორედ „სი-

¹ ლ. კოტეტიშვილი, წიგნი სააქიმოჲ მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე. თბილისი, 1936. გვ. 325.

² იქვე, გვ. 217.

³ იქვე, გვ. 325.

⁴ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1941. გვ. 11.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 363.

⁶ იქვე; ვ. ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

⁷ ვ. ფუთურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11 და 36.

მინდრ-სინინტრ“ ფორმები ჰქონიათ დასახელებული¹. როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ. ჰრ. აქარიანიც „სიმინდრ“ ფორმას იცნობს.

ამასთანავე ერთად „სიმინდის“ რ-აენი ფორმა ქართულშიც არის ზამოწმებული. რაფ. ერისთავის ლექსიკონში *кукуруза* და *Zea Mais L*-ს ქართულ შესატყვისად „სიმინდი“ ფორმის გარდა „სიმინდრო“-ც გვაქვს².

სომხურში „დ“ ან „ტ“ ბგერათა შემდეგ „რ“-ს განვითარება სხვაგანაც დასტურდება. მაგალითად, ბერძნული დომენტიოს საკუთარი სახელი სომხურ ძეგლებში *Դոմէտ[ր]իոս* — დომენტიოს-ადაა გადმოღებული³. ამ ფაქტის უფრო ზედმიწევნით დასადასტურებლად ჩვენ სხვა სომხურ მაგალითს ვერ მივაგენით, მაგრამ პროფ. ილია აბულაძემ ჩვენი თხოვნით თავაზიანად მოგვაწოდა აკად. ჰრ. აქარიანის შრომიდან ციტატი. ჰრ. აქარიანს სომხური „სიმინდრ“-თან შესადარებლად მოჰყავს ბერძნული *ῥεραμίνε*: სიტყვის არმენიზებული ფორმა *Կըմինտր* („კლმინტრ“, ქართულად „კრამიტი“), რომელშიც, როგორც „სიმინდრ“-სა და „დომენტიოს“-ში „ტ“-ს შემდეგ გაჩენილია „რ“ ბგერა⁴. ჰრ. აქარიანს ეს მაგალითი სხვათა შორის მოჰყავს *Hübschmann*-ის ახსნასთან დაკავშირებით, რომელსაც თურმე სომხ. „სიმინდრ“ ბერძ. *semidal*-იდან მიღებულად მიაჩნია („რ“-ს დაბოლოვებით ნაცვლად „ლ“-საო)⁵. *Hübschmann*-ისა (*Armen. Gram.*, I, 2) და აგრეთვე *Brockelmann*-ის (*ZDMG*, XLVII, 42) ამ უკანასკნელ მოსაზრებას ი. ორბელიც არ იზიარებს და ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში „შეუძლებელია ბოლოკიდური რ-ს გაჩენის ახსნა“-ო⁶.

სომხურში ასეთი ფონეტიკური შესაძლებლობის ფაქტის დადასტურების შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ „სიმინდრ-სიმინტრ“ სიკვება ბერძნული ვითომ დიალექტური *σείμινδρεα*-იდან იყოს მიღებული⁷. ეს მიიწვევს, რომ, როგორც თვით ი. ორბელი წერს, ასეთი დიალექტური ფორმა უკიდურესად ანგარიშების მხოლოდ ერთ ნაწყვეტზე ყოფილა შენიშნული (*The Oxyr. Papyri*, IV, 75B, 82) და მისი გამომცემლები *P. Grenfell*-ი და *S. Hunt*-ი ასეთ ფორმას წერის შეცდომად თვლიან⁸. გარდა ამისა, კიდევაც რომ დადასტურდეს ბერძნულის რომელიმე დიალექტისათვის *semidareos* ფორმა, საჭირო იქნება ბერძნულის ამ დიალექტისა და სომხურის შეხების წერტილების გარკვევა. უნდა აიხსნას აგრეთვე *semidareos*-იდან *α*-ს გამოვარდნის ფაქტი.

¹ И. Орбели, *Similtose в идалийской надписи и σείμινδρεα, similla, similago: Журнал министерства народного просвещения. Новая серия. Часть XVIII. 1908. Декабрь. СПб., гв. 524.*

² Краткий грузино-русско-латинский словарь из трех естественных царств природы. Тбилиси, 1884, гв. 51.

³ ილია აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში. თბილისი, 1944, გვ. 0118.

⁴ ჯ. Ահապեան, *Հայերէն արմատական բառարան*, VI, გვ. 229—230.

⁵ იქვე.

⁶ И. Орбели, დასახელებული ნაშრომი, გვ. 525. თვით ი. ორბელის აზრი ამის შესახებ სულ სხვანაირია. ამის შესახებ ქვემოთ.

⁷ И. Орбели, იქვე, გვ. 529, შენიშვნა 1.

ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ სომხურში, ისევე როგორც ქართულში „სიმიდ“ სიტყვაა შესული არაბულიდან (samīd, semīd და დიალექტებში, ალბათ, simīd), ხოლო „ნ“ და „რ“ ადგილობრივ ენათა ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული. ამეამად მაგალითი ცოტა მოგვეპოვება, მაგრამ საერთოდ ქართულისათვისაც არ უნდა იყოს უცხო მსგავს პოზიციებში „რ“-ს გაჩენა (მაგალითად, ქართული ხალხური პულამეტრი რუს. пулемет-იდან).

სიტყვა „სიმინდი“ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშიც მოიპოვება, ოღონდ ის, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა უკვე აღნიშნა, ამ სიტყვის განმარტებას არ იძლევა და მხოლოდ მცენარის აღმნიშვნელი წიგნი აქვს დასმული¹.

ფ. გორგიჯანიძე და ს.-ს. ორბელიანი, ჩანს სიმინდს როგორც არ იცნობდნენ, რადგანაც პირველს ბუნდოვანი განმარტება აქვს მოცემული, ხოლო მეორეს — ძლიერ ზოგადი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომ „სიმინდი აღმოს. საქართველოში XVIII საუკ. ორმოციან წლებშიც კი ჯერ არსად ყოფილა“ და რომ „მიწისმოქმედების მნიშვნელოვან კულტურად სიმინდი იმ დროს ჯერ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო“².

მეორე მხრივ ძველ მწერლობაში, უმთავრესად ბიბლიის ქართულ თარგმანებში იხმარება სიტყვა „სემიდალი“, როპელსაც, ისევე როგორც „სიმინდი“, თეთრო, ხორბლის უმაღლესი ხარისხის ფქვილის მნიშვნელობა აქვს; „მოგეც საქმელად შენდა სემიდალი“, რუსული ტექსტის სათანადო ადგილას ასეა: *питалась ты хлебом из лучшей пшеничной муки* (ეზეკიელი, 16₁₃), ან კიდევ: „წარაგებდეს მისა მიმართ თითოეულსა დღესა სემიდალსა გრივსა ათორმეტსა“, რომლის რუსული შესატყვისი ადგილი ასეა: *и надерживали на него каждый день двадцать больших мер пшеничной муки* (დანიელი, 14₂).

საინტერესოა ს.-ს. ორბელიანის განმარტება ამ სიტყვისა. საბასთან ჩვენ ვპოულობთ „სამინდალსა“ და „სამინდოს“. „სემიდალი“ საბას ლექსიკონში სხვათა მიერ ჩართულ სიტყვად ითვლება, ხოლო ლექსიკონის რედაქციას მართებულად აქვს მითითებული, რომ „სემიდალი“ „სამინდალს“ შეედაროსო³. რათქმა უნდა, „სამინდალი“ იმავე „სემიდალ“ სიტყვის გადმოქართულებული ფორმაა და, შეიძლება, მორფოლოგიურად გააზრებულიც: „სა“ და „ალ“ ქართულ პრეფიქს-სუფიქსებად უნდა იყოს გაგებული, ხოლო „მინდ“ საფუძველი მარცვლულიდან ასაღები ბაგის მნიშვნელობით ხმარებულ სიტყვად⁴. ამრიგად „სემიდალი“ და „სამინდალი“ სინონიმებია.

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928, გვ. 314.

² ივ. ჯავახიშვილი. საქ. გონ. ისტ., I. გვ. 363.

³ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928, გვ. 310.

⁴ ზდრ. აგრეთვე „სამინდე“ — ჭურჭელი, რომლითაც შინდს რწყავენ (ილემეი).

„სამინდალ“-ზე უფრო მეტად გადაქართულებულია „სამინდო“ ხიტყვა, რომელიც ძველ ქართულში აგრეთვე „სემიდალის“ მნიშვნელობით იხმარება. ს.-ს. ორბელიანით „სამინდო ესე არს ზანდურის ფქვლი, რომელ არს კლარჩი წურილად გაცრილი“¹. ბიბლიაშიც „სამინდოს“ „სემიდალის“ მნიშვნელობა აქვს: „უკეთუ მომართვათ სამინდო ამოა“, სლავიანურად — и аще принесете ми семидал все (ესაია, 1₁₂), „და მომღებელი სამინდოსა, ვითარცა სისხლი ღორებრი“, სლავიანურად — приносящий семидал яко кровь свиную“, რუსულად — приносящий семидал — то же, что приносящий свиную кровь“ (ესაია, 66₃).

ამრიგად, „სემიდალი“, „სამინდალი“ და „სამინდო“ ძველ ქართულში, ისევე როგორც „სიმინდაჲ-სიმინდი“, ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი სიტყვებია. ყველგან მათ „საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილის“ მნიშვნელობა აქვთ.

ქართულ ძეგლებში ხმარებული „სამინდალ-სემიდალის“ ბერძნულობა ჯერ კიდევ საბამ ალნიშნა: „სამინდალი ბერძულია“-ო². მართლაც ქართული ძეგლების „სემიდალი-სამინდალი-სამინდო“ ბერძნულიდან შემოსული ძეგლები სიტყვის ფონეტიკური ნაირსახეობაა. ბერძნულში ამ სიტყვასაც ასეთი მნიშვნელობა აქვს: самая тонкая пшеничная мука, крупчатка³.

დ. ჩუბინაშვილი სავსებით მართებულად უკავშირებს ერთმანეთს „სამინდალსა“ და „სამინდოს“ და შემდეგ საერთო განმარტებას აძლევს: „სემიდალი“, ხლარჩი ფქვილი ზანდურისა წმინდად გაცრილი, арнаутка⁴. ოღონდ დ. ჩუბინაშვილი არ არის მართალი, როცა „სემიდალ“ სიტყვის „სამინდო, семидал“-ად განმარტებისას, „სემიდალ“-ს არაბული წარმოშობის სიტყვად თვლის⁵. არაბულში „სემიდალ“-ი დადასტურებული არაა.

სპეციალისტები ძეგლებს სიტყვას არც ბერძნული წარმოშობის სიტყვად თვლიან და მას ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი ენის კუთვნილებად აღიარებენ⁶. ი. ორბელის მიხედვით semidalis-ზე ასეთივე აზრი ჰქონია გამოთქმული L. Meyer-საც (Handbuch, d. gr. Etymolog. IV, 39)⁷.

უაღრესად საინტერესოა არაბული, სპარსული და თურქული ენების მონაცემები „სიმინდ“ სიტყვის შესახებ.

არაბულში سميد ან سميد „ძალიან თეთრ ფქვილს“ (farin très blanche) ნიშნავს⁸. ამასთანავე ერთად ზოგი ლექსიკოგრაფი, მაგალითად, Kazimirski,

¹ „ქართული ლექსიკონი“, 293.

² იქვე.

³ А. Д. Рейсман, Греческо-русский словарь. СПб. 1894. S. v.

⁴ ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1887. S. v.

⁵ იქვე. S. v.

⁶ E. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque. Heidelberg — Paris, 1908. S. v.

⁷ ი. ორბელი. დასახელ. ნაშრომი, 522. ამ შემთხვევისათვის „სემიდალ“ სიტყვის სადაურობის საკითხი ჩვენ არ გვაინტერესებს.

ძირითად ფორმად *سميد* (*samīd*)-ს თელის და *سميد* მეორად ფორმად *سميد* Kazimirski-თ *samīd pain blanc*-ს ნიშნავს. მართლაც ზოგ ენაში *samīd* და სხვა მისი ფონეტიკური სახეობანი „თეთრ პურს“, ან თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარ სხვა პროდუქტსაც აღნიშნავენ. ასე, მაგალითად, სპარსულში Johnson-ის მიხედვით *سميد* - *samīd* (არაბული *سميد* - დან მომდინარედ ითვლება) *white bread*-ს ნიშნავს. თურქულში *سميد* - *simid* (აქაც არაბული *سميد* - დან წარმომავლად მიიჩნევა) ნიშნავს უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილის მზა პროდუქტს, უმთავრესად კი კრენდილს და ბუბლიკს, ხოლო *simid unu* — წვრილად გაცრილ ფქვილს, *крупчатка*-ს (Zenker-ს თურქულისათვის *سميد* და *سمير* ფორმებიც აქვს დასახელებული) ².

ამრიგად, სპარს. *samīd* და თურქ. *simid* არაბულიდან ნასესხებად ითვლებიან. არაბულში *samīd*-თან ერთად *samiz*-იც არის. მართა ეს უკანასკნელი ფორმაც რომ ყოფილიყო, ეს არ შეუშლიდა ხელს თურქულ-სპარსულში დ-ონიანი ფორმის *samīd* - *simid*-ის მიღებას. საქმე ისაა, რომ არაბულ, სპარსულსა და თურქულ ენებში *ذ*, *ذ* და *ز* ნიშნებით გამოხატული („დ“, ინტერდენტალური „ზ“ და „ზ“) ბგერები ხშირად ერთიმეორის მონაცვალეებად გამოდიან. სპარსული *استاد* სიტყვის არაბიზებული ფორმაა *استاذ*, ხოლო ქართულში „ტ“ ბგერითაა გადმოსული („ოსტატი“). არაბული *ذخير* 'სურსათ-სანოვავე' ქართულში „დახირა“-სა და „ზახირა“-საც გვაძლევს ³. კიდევ მაგალითები: სპარს. *ذغذغ* თურქ. *دغذغ*, ქართ. „ქალაღი“, სპარს. *دوش*, ქართ. „ბოდში“ (მაკ. ხუბუას მაგალითი) და სხვ. მრავალი.

ივ. ჯავახიშვილი „სიმინდის“ ძველ ფორმებად „სიმინდაჲ“-ს, „სამინდო“-სა და „სამინდალ“-ს ასახელებს ⁴. მართალია, ამ სიტყვებს ძველ ქართულში სრული სემანტიკური იდენტურობა ახასიათებდათ და ერთნაირი წარმომავლობის არიან, მაგრამ მათი ასეთი ფონეტიკური დიფერენცირებულობის ფაქტი ახსნას მოითხოვს. უნდა გადაისინჯოს აგრეთვე დებულება, რომ „ამერიკული ახალი მცენარისათვის ქართველ ხალხს ძველისძველი ქართული ტერმინი“ (იგულისხმება „სიმინდი“) ჰქონდეს გამოყენებული ⁵. „სიმინდ“ სიტყვა ისევე როგორც „სამინდო — სამინდალი“ ქართულ ნიადაგზე ახსნას ვერ პოულობს. „სიმინდზე“ მსჯელობისას ი. ორბელის წერილს ივ. ჯავახიშვილი არ იხსენიებს.

¹ Dictionnaire arabe-français. S. v.

² Zenker-ი, Redhous-ი და Padoz-ი. S. v.

³ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოც. ექვთ. თაყაიშვილის მიერ. თბილისი, 1890, გვ. 96. „თმოგუის ციხეს რაც დახირა უნდოდა, მიატანიდა“, იქვე ნაჩვენებია „პარიზის ქრონიკის“ ვარიანტად „ზახირა“. ცხადია, აქ *ذ*-ს ისეთივე რეფლექსებთან გვაქვს საქმე, როგორიც არაბულ მეორე ინტერდენტალ *ذ*-ს მოვპოვება: *ذمان* გვაძლევს „ოსმან — ოსმალ“-საც და „ოთმან“-საც (იხ. „სამ ისტ. ქრონიკაში“ „ოთმანიანი რვა ათასი კაცი“. გვ. 97; შდრ. რუსული *османский* და *оттоманский*).

⁴ დასახელებული ნაშრომი, გვ. 364.

⁵ იქვე. ხახი ავტორისაა.

ი. ო რ ბ ე ლ ი ს ზემოხსენებული წერილის შინაარსი ჩვენ აქ მთლიანად არ მოგვყავს. ამ წერილიდან ჩვენ მხოლოდ „სიმინდის“ ქართული და სომხური ფორმების შესახები ზოგიერთი ადგილი მოვიტანეთ. წერილი უთუოდ საკითხის კარგი ცოდნითა და მდიდარი ფაქტიური მასალის მოშველიებით არის დაწერილი. წერილი 1908 წელსაა დაბეჭდილი. ავტორი იაფეტური ენათმეცნიერების თვალთახედვით უდგება საკითხს; გამოტანილი დასკვნა „სიმინდ-სემიდალის“ წარმოშობილობის შესახებ დამაჯერებლობას მოკლებულია.

ავტორი აღნიშნავს, რომ ელინისტები და ლათინისტები *semidal-simid-simila*-ს ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვებად არ თვლიან, ისევე როგორც სემიტოლოგებსაც *samid* და მისთანანი სემიტურ ენებში ნასესხებად მიაჩნიათ. ავტორის მიხედვით „სიმინდ-სემიდალ“-ი ქართული სიტყვაა და მას საფუძვლად უდევს იაფეტური სამთანხმოვნითანი ძირი ს მ დ. ავტორი ამბობს: *принимая во внимание, что звук t [წ] является в яфетических высшей ступенью подъема s [ს] (Н. Я. Марр, Лекции по Грамм. др.-грузинск. яз.) мы найдем в груз. imida resp. iminda [წმიდა—წმინდა] точное звуковое соответствие яфетическому корню smd*¹. „სემიდალ“-ის „ალ“ ელემენტი, ავტორით, ქართულსა და სხვა იაფეტურ ენებში მდებრობითი სქესის ნიშანია (დედალი, სძალი და სხვ. მრ.). ამრიგად, სიტყვის ასახსნელად ავტორისათვის ამოსავალია ქართ. სიტყვა „წმიდა“, „რომელმაც შეინახა იაფეტური *smd*-ს პირველადი მნიშვნელობა“. ავტორი იმოწმებს აგრეთვე საბას, რომელსაც „წმიდა“ სიტყვა ნახმარი აქვს „ფქვილთან“ დაკავშირებით: „წმიდასა ფქვილსა კლარჩად ვიტყვი“. ავტორს არა აქვს ნაჩვენები სხვა შემთხვევა, რომელშიც „წ“ „ს“-ს გვაძლევდეს. ბერძნულ-ლათინურ და არაბულ *semidal-simila-simid* სიტყვებს ავტორი ქართულ ენობრივ სინამდვილეში წარმოშობილად და სხვა ენებში აქედან გავრცელებულად მიიჩნევს.

ზემოგანხილული ცნობების გათვალისწინებით ქართულში საკვლევი სიტყვების დაფუძნების სურათი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ამერიკული მცენარის სიმინდის შემოსვლამდე სიტყვები „სამინდალი — სემიდალი — სამინდო — სიმინდაა — სიმინდი“ და, შეიძლება, „სიმინდრ-სიმინდრო“-ც ხორბლის უმაღლესი ხარისხის ფქვილს აღნიშნავდნენ.

2. „სამინდალი-სამინდო“ ბერძნული *σάμιδα*-იდან მომდინარე „სემიდალ“ სიტყვის გადაქართულებული ფორმებია, გვხვდება ბიბლიის ქართულ თარგმანებში და ბერძნულიდან მწიგნობრული გზით შემოხიზნული სიტყვებია.

3. „სიმინდაა“ („ცხორება ნისიმესი“) და „სიმინდი“ („წიგნი სააქიმოა“) არაბიბლიური წარმოშობისა და საერო შინაარსის არაბთა ბატონობის შემდეგდროინდელ ძეგლებში გვხვდება და ხალხში გავრცელებულ სიტყვებად ჩანან.

4. „სიმინდაა“ და „სიმინდი“ ფონეტიკურად და სემანტიკურად ძლიერ ახლოს დგანან არაბულ *samid*-თან (არაბ. *samid* დიალექტებში *semid* უნდა ყოფილიყო, ხოლო *e*-ს გრძელ *i*-სთან დამსგავსებით *simid*-იც, შდრ. თურქ.

¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 526.

² იქვე.

simid). „დ“-ს წინ „ნ“-ს გაჩენა ქართულში ჩვეულებრივია, გვხვდება უ-ნარ-ო ფორმაც - იმერული „სიმიდ“. „სიმინდაჲ“ და „სიმინდი“ via arabica შემოსულ სიტყვებად უნდა ვივარაუდოთ.

5. ამასთანავე ერთად უდავოა ბერძნული semidalis-ა და არაბული samid სიტყვათა გენეტიკური კავშირი. მეორე პირველიდან უნდა მომდინარეობდეს. ოღონდ, ჩადგანაც არაბისათვის al გარკვეული გრამატიკული ფუნქციის მატარებელი ელემენტია (განსაზღვრებითი არტიკლი) და ამდენად ფუძესთან ორგანული კავშირის არმქონე, ბოლოკიდური al მარცვალ არაბულ ნიადაგზე ჩამოვარდნილი უნდა იყოს დაახლოებით ისე, როგორც ბერძნულ Alexandr-იდან არაბულმა თავკიდური al-ის შეკვეცით Ksander-Skander და Jskander-ი მიიღო.

6. „სიმინდრ-სიმინდრო“ არაბული samid-ის არმენიზებული ფორმებია, თუმცა ქართულ ნიადაგზედაც არ არის შეუძლებელი ასეთი ფონეტიკური ტრანსფორმაცია.

7. ამერიკიდან შემოსულ ახალ მცენარესა და მის მარცვლელ პროდუქციას ქართულში ხორბლის საუკეთესო ფქვილის აღმნიშვნელი სახელი „სიმინდი“¹ დაერქვა. სწორია ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ „სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იქნებოდა შემოტანილი და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს მისი მარცვლელი კულტურა გავრცელებული“². ჩვენ დავსძენთ: პირველად სიმინდი ფქვილად უნდა ყოფილიყო შემოტანილი, მაგრამ თეორი ჯიშის სიმინდის ფქვილად და მის გარეგნულ თვისებას (სითეთრეს) უნდა გამოეწვია ასოციაცია ხორბლის თეორი ფქვილთან.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VII. 9).

¹ ცნობილია, რომ სახანოში (სამეგრელო-ჭანეთში) სიმინდის კულტურის შემოსვლამდე მხოლოდ ღომი და ფეტვი (შემდეგში „მჰადისმჰადად“ წოდებული) იყო ძირითადი მცენარეული საკვები. ღომისა და ფეტვის მოწვევისას თავთავის მოჭრას „გიმუა“ ერქვა და „გიმათუთა“ (= ქართ. „ღვინობისთვე“) ღომისა და ფეტვის მოსავლის აღების თვეს აღნიშნავდა (შდრ. ი. ყიფშიძე. მეგრ. ენ. გრამ., გვ. 217), ხოლო აქედან „ნოგიმენი“ — მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილ შემოდგომის ნაწილს. შემდეგში ღომისა და ფეტვის გვერდით სიმინდის კულტურა რომ გავრცელდა, „გიმუა“ სიტყვა უკვე ვერ გამოხატავდა „მოსავლის აღების“ ცნებას, რადგანაც სიმინდს (არათავთავიანს) „ტეხავდნენ“ და არა „გიმავდნენ“. გაჩნდა საერთო ტერმინი „გიმატახუა“ („გიმუა+ტახუა“-დან). დღეს, რადგანაც, სამწუხაროდ, სიმინდმა მთლიანად განდევნა ღომი, მხოლოდ „ტახუა“ იხმარება.

² დასახელებული ნაშრომი, გვ. 364.